ბორჯომის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ. ბორჯომი 03 აგვისტო 2020 წელი

კომისიას ესწრებოდნენ:

1. დავით ზაალიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. ჯუმბერ ბერიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი
3. გაიოზ დვალიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგისა და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
4. თეა კიკაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
5. გიორგი ჩადუნელი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
6. მაია პაიჭაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
7. მაია მახარაშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
8. ეკატერინე სორდია - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;
9. ელისაბედ მჭედლიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

კომისიას არ ესწრებოდნენ:

1. ეკა ლონდარიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი - შვებულებაში ყოფნის გამო

დღის წესრიგი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების მოვლა-პატრონობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა დავით ზაალიშვილმა კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ეკატერინე სორდია.

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიას მოახსენა, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 ნოემბრის #02 /2677 ბრძანებით გათვალისწინებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების მოვლა-პატრონობის სამუშაოების შესყიდვა.

„შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანების თანახმად, აღნიშნულ შესყიდვას შეესაბამება კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ჟ)-პუნქტის შესაბამისად შესყიდვა ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის ჩატარებას. სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

კომისიამ განიხილა სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 300778 (სამასი ათას შვიდას სამოცდათვრამეტი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით,

სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის 12 ბრძანებით დამტკიცებული წესით

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების მოვლა-პატრონობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი.
2. სატენდერო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით, დაევალოს კომისიის აპარატს უზრუნველყოს აღნიშნული ტენდერის განცხადების განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის წევრები:

1. დ. ზაალიშვილი
2. ჯ. ბერიძე
3. გ. დვალიშვილი
4. გ. ჩადუნელი
5. თ. კიკაძე
6. მ. მახარაშვილი
7. მ. პაიჭაძე
8. ე. სორდია

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული შტამპი